საქართველოს პარლამენტის წევრების: დავით სონღულაშვილის, ეკა სეფაშვილის, ბეჟან წაქაძის, ისკო დასენის, ირაკლი კირცხალიას, ანტონ ობოლაშვილის და ირმა ზავრადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**
(№07-3/366; 11.10.2023)

გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი

N	შენიშვნის ავტორი	შენიშვნის შინაარსი	გათვალისწინების მდგომარეობა
1	**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**	მიზანშეწონილია პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 3. მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მათი გაერთიანება, რომელიც ფუნქციონირებს ქცევის კოდექსის შესაბამისად. თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. ასევე, დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით: 4 . დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 55[2] მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში. მიზანშეწონილი დამატებული მე-4 პუნქტის შემდგომ გადაინომროს პუნქტები.	**გათვალისწინებულია**

2	**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**	მიზანშეწონილია პირველი მუხლის პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით : **2.** 56-ე მუხლის მე-4 - მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს; შესაბამისად აგდაინომროს დარჩენილი პუნქტები.	**გათვალისწინებულია**
3	**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**	**მიზანშეწონილიაპირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** 56[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მაუწყებელს ეკრძალება შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდებისა და შესაბამისი საეთერო დროის განსაზღვრის გარეშე ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში ისეთი მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. 3. იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა ან რეკლამა (გარდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი პროგრამისა ან რეკლამისა) შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.	**გათვალისწინებულია**

4	**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი**	პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **4. 59[1] მუხლის:** **ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „1. ამ კანონის 52-ე, 54-ე, , 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. 2. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა“. **ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:** „4. ამ კანონის 55[2] მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის უფლებების უხეშად შელახვის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია რეაგირება განახორციელოს ამ კანონის IX თავით დადგენილი წესით“.	**გათვალისწინებულია**